ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4337418

ნომერი: AR1651664

თარიღი : 21.12.2018

გაცემის თარიღი : 15.01.2019

გაცნობის თარიღი : 15.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 82;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 დეკემბერს №AR1651664 განცხადებით მომართეს ვლადიმერ აბრამიშვილმა და ანრი ბაციკაძემ.

განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.14.10.001.077) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 დეკემბრიდან 2021 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 24908.0 კვ.მ-ის ნაცვლად 24868.2 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 13625.2 კვ.მ-ის ნაცვლად 13626.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 3433.7 კვ.მ-ის ნაცვლად 3507.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3001.7კვ.მ-ის ნაცვლად 2898.9 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 107.2 კვ.მ-ის ნაცვლად 108.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 4740.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4726.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ: საერთო ფართობად 24868.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 13626.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 3507.5 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2898.9 კვ.მ, დამხმარე ფართობად 108.7 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 4726.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებით შეთანხმებული -2, -1, მე-6, მე-12 და მე-14 სართულის გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 21 დეკემბრის №AR1651664 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.